

კავკასიის უნივერსიტეტი
სახელმწიფო მართვის სკოლა
დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

გასაუბრება მიმღებ კომისიასთან

საბუთების შემოწმების ეტაპის შემდგომ აპლიკანტები გაივლიან გასაუბრებას მიმღებ კომისიასთან. გასაუბრების დროს დგინდება დარგის შესახებ აპლიკანტის საბაზისო ცოდნა და უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია.

აპლიკანტი ფასდება 100 ქულიდან, რომელშიც:

- **60 ქულას** წარმოადგენს ერთიანი სამაგისტრო გამოცდის A ტესტის შედეგები;
- **40 ქულა** წარმოადგენს მიმღებ კომისიასთან გასაუბრების შედეგს (20 ქულით ფასდება სპეციალობის ცოდნა, ხოლო 20 ქულით აპლიკანტის პრეზენტაბელურობა და სწავლის გაგრძელების მოტივაცია/უნარი).

სპეციალობის გასაუბრებაზე აპლიკანტმა უნდა აჩვენოს სპეციალობის საბაზისო ცოდნა. გასაუბრებაზე საბაზისო კითხვები დაისმება დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების ქვევით მომცემული 5 თემატიკის ირგვლივ (*ჯამში 20 ქულა*):

1. დიპლომატიის ისტორია;
2. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები;
3. საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები;
4. საერთაშორისო უსაფრთხოება, ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები (გლობალურ თუ რეგიონულ დონეზე);
5. საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტები: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, სამხედრო სტრატეგია და საგარეო პოლიტიკის სტრატეგია.

სპეციალობის თემატიკასთან დაკავშირებული ლიტერატურა, რომელსაც სასურველია იცნობდეს აპლიკანტი:

1. Henry Kissinger (1994), Diplomacy, New York: Simon Schuster
2. უილიამ ქილროი, „მეოცე საუკუნის მსოფლიო, საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან“, *ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა*, მეექვსე გამოცემა, 2011. ქართული გამოცემა: *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2015
3. ალექსანდრე რონდელი „საერთაშორისო ურთიერთობები“, მესამე განახლებული გამოცემა, „ნეკერი“, თბილისი, 2006 წელი;
4. ევა აკობია „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006.
5. არტი და ჯერვისი „საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011 წელი;

6. საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია, 2014. ხელმისაწვდომია: [\[https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NMS-GEO.pdf\]](https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NMS-GEO.pdf)
7. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ხელმისაწვდომია [\[http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx\]](http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx)
8. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. ხელმისაწვდომია [\[http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx\]](http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx)
9. ჯონ მაკკორმიკი, ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები, 2017, თბილისი
10. გაეროს, ნატოსა და ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურა და ძირითადი ფუნქციები.

პრეზენტაბელურობა და სწავლის გაგრძელების მოტივაცია/უნარი (სულ 20 ქულა):

პრეზენტაბელურობა: გასაუბრებისას აპლიკანტი აზრს გადმოცემს ნათლად და მკაფიოდ. კომისიის წევრების რეპლიკებზე რეაგირებს ეფექტურად და ადეკვატურად. არ იბნევა. ახერხებს საკითხის სრულად და ამომწურავად წარდგენას და დროის სწორად მართვას.

სწავლის გაგრძელების მოტივაცია/უნარი: გააზრებული აქვს მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის მნიშვნელობა და დანიშნულება მისი პროფესიული განვითარებისთვის. აქვს გამოკვეთილი კვლევითი ინტერესი საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში და აცნობიერებს შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბს/სიღრმეს.